

კარდ
ბუსმუვი
იუნბი

ფსიქოლოგია
და რედრიგია/
ვასუხი იობს

კარლ გუსტავ იუნგი
ფსიქოლოგია და რელიგია
პასუხი იობს

C.G. Jung
PSYCHOLOGIE UND RELIGION
ANTWORT AUF HIOB

გერმანულიდან თარგმნა მაია ჰადრიძემ

© 1952 Rascher Verlag, Zürich
© 1954 Routledge & Kegan Paul
© 2007 Foundation of the Works of C. G. Jung, Zürich

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2013, 2022
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-776-3

www.diogene.ge

სარჩევი

ფსიქოლოგია და რელიგია

არაცნობიერის ავტონომიურობა	9
დოგმა და ბუნებრივი სიმბოლოები	54
ბუნებრივი სიმბოლოს ისტორია და ფსიქოლოგია	98

პასუხი იოზს

Lectori benevolo	163
პასუხი იოზს	170

ფსიქოლოგია და რელიგია

არაცნობიერის ავტონომიურობა

ლექციათა ამ ციკლის ორგანიზატორის ტერის მიზანი, როგორც ჩანს, ის იყო, რომ საბუნებისმეტყველო, ფილოსოფიისა და მეცნიერების სხვა დარგების წარმომადგენლებს შეძლებოდათ, ემსჯელათ რელიგიაზე, როგორც ერთ-ერთ მარადიულ პრობლემაზე. მეც მერგო პატივად, იელის უნივერსიტეტში წამეკითხა ლექციები 1937 წელს და ვთვლი, რომ ჩემი ამოცანა იმ კავშირის წარმოჩენაა, რომელიც ფსიქოლოგიასა – ყოველ შემთხვევაში, სამედიცინო ფსიქოლოგიის იმ სფეროს, რომელსაც მე წარმოვადგენ – და რელიგიას შორის არსებობს. ჩემს ამოცანად იმის ჩვენებაც მიმაჩნია, რა შეუძლია ფსიქოლოგიას რელიგიის შესახებ გვამცნოს. რელიგია, უდავოდ, ადამიანის სულის ერთ-ერთი უძველესი და უნივერსალური გამოხატულებაა; ამიტომ თავისთავად ფსიქოლოგიის ის დარგი, რომელიც პიროვნების ფსიქოლოგიურ სტრუქტურას შეისწავლის, გვერდს ვერ აუვლის იმას, რომ რელიგია არა მარტო სოციოლოგიური და ისტორიული ფენომენია, არამედ მრავალთათვის – ძალზე მნიშვნელოვანი პიროვნულადაც.

ხშირად ფილოსოფოსად მომიხსენიებენ, თუმცა მე მაინც ემპირიკოსი გახლავართ და ფენომენოლოგიურ თვალსაზრისს ვიზიარებ. ვფიქრობ, ჩემი მოსაზრებები, რომლებიც გამოცდილების საფუძველზე მოპოვებული მასალის შეგროვებისა და მისი უბრალო კლასიფიკაციის მეთოდს სცილდება, მეცნიერული ემპირიზმის პრინციპებს არ არღვევს. ამასთანავე, ვფიქრობ,

გამოცდილებას რეფლექსიის გარეშე ვერ შეიძენ, რადგან „გამოცდილება“ ასიმილაციის პროცესია, ურომლისოდაც შეუძლებელია, საერთოდ, რამეს ჩასწვდე. აქედან გამომდინარე, ფსიქოლოგიურ ფაქტებს ფილოსოფიური კი არა, საბუნებისმეტყველო პოზიციიდან ვუდგები. რადგან რელიგიას, როგორც ფენომენს, ძალზე მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ასპექტი აქვს, ამიტომ ამ თემას წმინდა ემპირიული პოზიციიდან განვიხილავ, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ფენომენტა დაკვირვებით შემოვისაზღვრები და მეტაფიზიკური თუ ფილოსოფიური სპეკულაციები-საგან თავს შევიკავებ. სხვა ტიპის დაკვირვების მნიშვნელობას, ცხადია, ეჭვქვეშ არ ვაყენებ, მაგრამ არც იმის პრეტენზია მაქვს, რომ ამგვარ მოსაზრებათა გამოყენებას სწორად შევძლებ.

ადამიანთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ კარგად ესმის ფსიქოლოგია, რადგან მიაჩნიათ, რომ ფსიქოლოგია სხვა არაფერია, თუ არა ის, რაც მათ ისედაც იციან. ფსიქოლოგია კი, არსებითად, ბევრად მეტია. რაც უფრო ნაკლები შეხება აქვს მას ფილოსოფიასთან, მით მეტად არის დაკავშირებული ემპირიულ ფაქტებთან, რომელთაგანაც უმეტესი ნაწილი საშუალო გამოცდილების მქონეთათვის ძნელად ხელმისაწვდომია. ჩემი მიზანია, ცოტათი მაინც მოვფინო ნათელი, რა სახის დაპირისპირება არსებობს პრაქტიკულ ფსიქოლოგიასა და რელიგიას შორის. ცხადია, საკითხი გაცილებით ღრმავა და მასზე მსჯელობას სამი ლექცია ვერ ეყოფა, რადგან ცალკეული დეტალების შესწავლა და მათი ახსნა-განმარტებაც კი ძალიან დიდ დროს მოითხოვს. წიგნის პირველი თავი პრაქტიკული ფსიქოლოგიისა და რელიგიასთან მისი დამოკიდებულების ერთგვარი შესავალია. მეორე თავი იმ ფაქტებს განიხილავს, რომლებიც არაცნობიერში რელიგიური ფუნქციის არსებობას ადასტურებს. მესამე თავში კი არაცნობიერი პროცესების რელიგიურ სიმბოლიკას შევეხები.

ჩემი განმარტებები ცოტა უჩვეულოა და ამიტომ ვუშვებ, რომ მსმენელი, შეიძლება, არ იცნობდეს მეთოდოლოგიურ პრინციპს ფსიქოლოგიის იმ მიმართულებისა, რომელსაც მე წარმოვადგენ. ეს პრინციპი ფენომენოლოგიურია და მოვლენებს, შემთხვევებს, გამოცდილებებს, მოკლედ რომ ვთქვათ, ფაქტებს შეისწავლის. ამ ფსიქოლოგიისთვის ქეშმარიტება მოცემული ფაქტია და არა შეფასება. როცა, მაგალითად, ფსიქოლოგია უბინო ჩასახვაზე ლაპარაკობს, მას მხოლოდ ამ იდეის, როგორც ფაქტის, არსებობა აინტერესებს და არა ის, ეს იდეა რაღაც თვალსაზრისით მცდარია თუ ქეშმარიტი. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ეს იდეა ქეშმარიტია იმდენად, რამდენადაც ის არსებობს. ფსიქოლოგიური ეგზისტენცია სუბიექტურია, რადგან იდეა მხოლოდ ინდივიდში ვლინდება. ამასთან ის ობიექტურიცაა, რადგან მას *consensus gentium*-ის¹ საფუძველზე ადამიანთა დიდი ჯგუფი იზიარებს.

ასეთი თვალთახედვა საბუნებისმეტყველო მეცნიერების თვალთახედვას ემთხვევა. ფსიქოლოგია სწორედ ისე შეისწავლის იდეებსა და რელიგიურ შინაარსს, როგორც ზოოლოგია – ცხოველთა სხვადასხვა სახეობას. სპილო ქეშმარიტია, რადგან ის არსებობს. სპილო არც ლოგიკური დანასკვია, არც მტკიცებულება და არც მისი შემოქმედის სუბიექტური შეფასება. ის უბრალოდ ფენომენია და სხვა არაფერი. ჩვენ ისე მივეჩვიეთ იმ მოსაზრებას, რომ ფსიქიკური მოვლენები თავისუფალი ფანტაზიის თვითნებური პროდუქტია, ადამიანის, როგორც შემოქმედის, გამოწვევითაა, რომ ვეღარ ვთავისუფლდებით ცრურწმენისაგან, თითქოს ფსიქიკა და მისი შინაარსი სხვა არაფერია,

¹ ადამიანთა შეთანხმება (ლათ.).

თუ არა ჩვენივე გამოგონილი შეხედულებებისა და შეფასებების ილუზიური პროდუქტი. ფაქტია, რომ გარკვეული იდეები თითქმის ყველგან და ყველა ეპოქაში გვხვდება. იდეის მიგრაციისა თუ ტრადიციისაგან დამოუკიდებლად ისინი თავისთავად, სპონტანურად ჩნდება. მათ ინდივიდები კი არ ქმნიან, არამედ ისინი მათ „ემართებათ“, უფრო მეტიც, ეს იდეები ინდივიდის ცნობიერებაში ძალით იჭრებიან. ეს პლატონისეული ფილოსოფია კი არა, ემპირიული ფსიქოლოგიაა.

რადგან რელიგიაზე ვლაპარაკობ, იმის ახსნაც მომიწევს, რასაც ამ ცნებაში ვგულისხმობ. რელიგია, როგორც თავად სიტყვის მნიშვნელობიდან გამომდინარეობს, იმის საგულდაგულო და კეთილსინდისიერ დაკვირვებას გულისხმობს, რასაც რუდოლფ ოტომ² ასე ზუსტად „Numinosum“ უწოდა. კერძოდ, ეს არის დინამიკური არსებობა ან მოქმედება, რომელიც უნებლიე აქტით არ არის გამოწვეული. პირიქით, მოქმედება მოიცავს და განაგებს ადამიანს, როგორც სუბიექტს და იგი უფრო მის მსხვერპლად გვევლინება, ვიდრე შემოქმედად. Numinosum სუბიექტის ნებელობისგან დამოუკიდებელი პირობაა. ყოველ შემთხვევაში, რელიგიური მოძღვრებაც და consensus gentium-იც ყველგან და ყოველთვის განმარტავს, რომ ამ პირობას ინდივიდის გარეთ არსებული მიზეზი ქმნის. Numinosum ან ხილული ობიექტის თვისებაა, ან უხილავი ძალის გავლენა, რომელიც ცნობიერების ცვლილებას იწვევს. ყოველ შემთხვევაში, ზოგადი წესი ასეთია.

თუმცა, როცა საკითხი მის პრაქტიკულ განხორციელებასა და რიტუალის ჩატარებას ეხება, გარკვეული გამონაკლისებიც

² *Das Heilige. Über das Irrationale in der Idee des Göttlichen und sein Verhältnis zum Rationalen.*

არსებობს. რიტუალების ჩატარების ერთადერთი მიზანია, მაგიური საშუალებებით, შელოცვებით, გრძნეული სიტყვებით, მსხვერპლშენივით, მედიტაციით, იოგას მეთოდებით, თვითგვემით და ა. შ. ნუმინოზური სრულიად გამიზნულად გამოიხმოს. მაგრამ ყოველ ასეთ მოქმედებას წინ მუდამ ფიზიკური, ობიექტური, ღვთაებრივი მიზეზისადმი რწმენა უსწრებს. მაგალითად, კათოლიკური ეკლესიის მიერ მორწმუნეთა საიდუმლოსთან ზიარების მიზანი ის არის, რომ მათ ღვთის წყალობა მოეფინოთ. რადგან ეს აქტი მაგიური საშუალებებით ღვთაებრივ წყალობასთან იძულებით ზიარებად შეიძლება გავიგოთ, ამიტომ ლოგიკურია, როცა ეკლესია არგუმენტად შემდეგ მოსაზრებას იშველიებს: არავის ძალუძს საიდუმლო აქტში ღვთის წყალობა იძულებით მოჰფინოს! ის მასში მყოფობს, რადგან საიდუმლო ღვთიურია და ღვთის ნება რომ არა, არც საიდუმლო აქტი იარსებებდა³.

ჩემი აზრით, რელიგია ადამიანის გონების განსაკუთრებული მდგომარეობაა და თუ ცნება „religio“-ს თავდაპირველ მნიშვნელობას დავეყრდნობით, ის შეიძლება განვმარტოთ, როგორც გარკვეული დინამიკური ფაქტორების, ანუ „ძალების“ – სულების, დემონების, ღმერთების, კანონების, იდეების, იდეალების – გათვალისწინება და მათზე დაკვირვება. სწორედ ასე უწოდა ადამიანმა საკუთარ სამყაროში აღმოჩენილ ამ ფაქტორებს, რომელთაგან ზოგი ძლევამოსილი, სამიში და სასარგებ-

³ Gratia adiuvans და gratia sanctificans შედეგია sacramentum ex opere operato-სი. ზიარება ქმედითია, რადგან ის თავად ქრისტემ დაადგინა. ეკლესიას არ ძალუძს, რიტუალი წყალობას ისე დაუკავშიროს, რომ actus sacramentalis-მა (საიდუმლო აქტმა) წყალობის თანაყოფნა და ეფექტურობა უზრუნველყოს. ამგვარად, მღვდლის მიერ შესრულებული რიტუალი წარმოადგენს არა causa instrumentalis-ს, არამედ causa ministerialis-ს.

ლოა, რის გამოც ადამიანი მათ არსებობას ანგარიშს უწევს, ზოგიც – დიდებული, მშვენიერი და უმნიშვნელოვანესი, ამიტომაც მათ თაყვანს სცემს და უყვარს. ინგლისურ ენაში არსებობს ასეთი გამოთქმა, როცა ვინმე რალაცის მიმართ დიდ ინტერესს ავლენს: „He is almost religiously devoted to his cause“ („რელიგიური ერთგულებით ემსახურება საკუთარ საქმეს“); უილიამ ჯეიმსი, მაგალითად, ამბობდა, მეცნიერი ხშირად მორწმუნე არ არის, მაგრამ გულის სიღრმეში ღვთისმოსიშიაო⁴.

მინდა, აღვნიშნო, რომ „რელიგიაში“⁵ სარწმუნოებას არ ვგულისხმობ; თუმცა რელიგიური აღმსარებლობა, ერთი მხრივ, ნუმინოზურის გამოცდილებას ეყრდნობა, მეორე მხრივ კი „pistis“-ს – ნუმინოზურის ზემოქმედებისა და ამ ზემოქმედების შედეგად შეცვლილი ცნობიერების რწმენას, ნდობასა და ერთგულებას; ამის საუკეთესო მაგალითია პავლეს ქრისტეს რჯულზე მოქცევა. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ცნება „რელიგია“ ნუმინოზურის გამოცდილებით შეცვლილი ცნობიერების განსაკუთრებულ განწყობას გამოხატავს.

კონფესიები თავდაპირველი რელიგიური გამოცდილების დაშიფრული და დოგმად ქცეული ფორმებია⁶. გამოცდილების

⁴ „ფაქტების მიმართ ჩვენს მონივნებას არ გაუწელებია ჩვენში რელიგიურობა. ის თვითონ თითქმის რელიგიურია“ (*Pragmatism. A new name for some old ways of thinking*. გვ. 14f).

⁵ „Religio est, quae superioris cuiusdam naturae (quam divinam vocant) curam, caeremoniamque affert“ (Cicero, *De inventione rhetorica*, II, col. 147) [რელიგია არის ის, რაც განსაკუთრებულ ყურადღებასა და მოკრძალებას ავლენს უზენაესის მიმართ, რომელსაც, ჩვეულებრივ, ღვთაებრივს უწოდებენ]. „Religiöse testimonium dicere ex iurisiurandi fide“ [სიმართლის თქმა დადებული ფიცის ერთგულების გამო] (Cicero, *Pro Coelio*, 55).

⁶ შოლცი („რელიგიის ფილოსოფია“) იმავე თვალსაზრისს გამოხატავს; იხ. ასევე Percy, *A Vindication of Paul*.

შინაარსი სინმინდედ შეირაცხება და, როგორც წესი, უცვლელ ფორმად იქცევა. თავდაპირველი გამოცდილების გამოყენება და კვლავ გაცოცხლება რიტუალად, უცვლელ ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ისინი უსიცოცხლო, გაქვავებული ფორმებია. პირიქით, შეიძლება საუკუნეების მანძილზე ისინი მრავალთათვის რელიგიური გამოცდილების ფორმად გადაიქცეს ისე, რომ მათი შეცვლის არავითარი აუცილებლობა არ გაჩნდეს. კათოლიკურ ეკლესიას ხშირად მოუქნელობაში ადანაშაულებენ, თუმცა ის აღიარებს, რომ დოგმა ცოცხალია და გარკვეული თვალსაზრისით ცვლილებისა და განვითარების უნარი შესწევს. შეზღუდული არც დოგმათა რიცხვია და დროთა განმავლობაში ის შეიძლება გაიზარდოს კიდევ. იგივე ეხება რიტუალსაც. ამასთან, ყველა ცვლილება და განვითარება თავდაპირველად განცდილი ფაქტით არის განსაზღვრული, რაც განსაკუთრებული სახის დოგმატურ შინაარსსა და გრძნობათა ღირებულებას ქმნის. თვით ერთი შეხედვით დოგმატური ტრადიციისა და დაშიფრული რიტუალისგან გათავისუფლებული პროტესტანტიზმიც კი იძულებულია, ქრისტიანული შინაარსი შეინარჩუნოს და ვერ აღწევს თავს რწმენას, რომლის თანახმად, ღმერთი ადამიანთათვის წამებულ ქრისტეში გაცხადდა. ეს ქმნის კონკრეტულ ჩარჩოს კონკრეტული შინაარსით, რომელსაც ბუდისტურ ან მუსლიმურ იდეებსა თუ გრძნობებს ვერ დავუკავშირებთ და ვერ განვავრცობთ. და მაინც რელიგიური ფენომენია არა მარტო ბუდა, მუჰამედი, კონფუცი და ზარატუსტრა, არამედ მითრა, ატი-სი, კიბელა, მანი, ჰერმესი და სხვა კულტებიც. როცა ფსიქოლოგი მეცნიერულ პოზიციას გამოხატავს, უფლება აქვს, არ გაითვალისწინოს არც ერთი სარწმუნოების პრეტენზია, რომ ის ერთადერთი და მარადიული ჭეშმარიტებაა. ფსიქოლოგმა

გულისყური რელიგიური პრობლემის ადამიანურ მხარეს უნდა მიაპყროს, რადგან მას სწორედ თავდაპირველი რელიგიური გამოცდილება აინტერესებს და არა ის, რაც ამ გამოცდილებიდან სარწმუნოების გზით მივიღეთ.

მე, როგორც ნერვულ და ფსიქიკურ დაავადებათა ექიმი-სპეციალისტი, რომელიმე სარწმუნოებას კი არ ვეყრდნობი, არამედ homo religiosus-ის, ანუ იმ ადამიანის ფსიქოლოგიას, რომელიც იმ ფაქტორებს ითვალისწინებს და აკვირდება, რომელიც მის ზოგად მდგომარეობაზე ახდენს გავლენას. ამ ფაქტორების განსაზღვრა და მათთვის ისტორიული თუ ეთნოლოგიური ცოდნიდან სახელების დარქმევა ძნელი არ არის, მაგრამ იგივე ფსიქოლოგიური პოზიციიდან წარმოუდგენლად რთული გახლავთ. წვლილი, რომელიც რელიგიასთან დაკავშირებული საკითხის განმარტებაში შემოიძლია შევიტანო, მხოლოდ იმ გამოცდილებას ეყრდნობა, რომელიც პაციენტებთან და ე. წ. ჯანმრთელ ადამიანებთან ურთიერთობით შევიძინე. ადამიანებთან ურთიერთობის გამოცდილება დიდწილად სწორედ იმაზეა დამოკიდებული, როგორ მივუდგებით მათ; ამიტომ შევეცდები, ზოგადად გაგაცნოთ, რას ვაკეთებ პრაქტიკულად.

ნევროზი ადამიანის ცხოვრების ინტიმურ მხარეს უკავშირდება; ამიტომ პაციენტი ყოველთვის გარკვეულ შეზღუდულობას გრძნობს, როცა იმ გარემოებათა და პრობლემების აღწერა მოუწევს, რამაც ის ავად გახადა. მაინც რატომ უჭირს ამაზე გულწრფელად ლაპარაკი? რა აშინებს, რა აფრთხობს, რით აიხსნება მისი მეტისმეტი თავშეკავება? ამის მიზეზი იმ გარეგნული ფაქტორების მიმართ საგულდაგულო ყურადღებაა, რომლებსაც საზოგადოებრივი აზრი, რესპექტაბელურობა ან კარგი რეპუტაცია ჰქვია. მაშინაც კი, როცა პაციენტი ექიმს ენდობა და მისი აღარ ერიდება, ყოყმანობს ან სულაც ეშინია,

რომ საკუთარ თავს რაღაც საკითხებში გამოუტყდეს, თითქოს საკუთარი თავის გაცნობიერება ასე საშიში იყოს. ჩვეულებრივ, ადამიანს იმის ეშინია, რაც დამორგუნველად ყოვლისმომცველი ჩანს. არსებობს კი ადამიანში რამე ისეთი, რაც მასზე ძლიერია? არ უნდა დაგვაზინყდეს, რომ ნევროზს, ზოგადად, გარკვეული სახის დემორალიზაცია ახლავს. რაც უფრო ღრმაა ნევროზი, მით მეტად კარგავს ადამიანი საკუთარი თავის ნდობას. ნევროზი დამორგუნველი მარცხია და სწორედ ასეთად აღიქმება ეს იმ ადამიანების მიერ, რომლებიც კარგად აცნობიერებენ საკუთარ ფსიქიკურ მდგომარეობას. მარცხს ადამიანს რაღაც ისეთი განაცდევინებს, რაც „ნამდვილი“ არ არის. ექიმი, ალბათ, უკვე დიდხანს არწმუნებდა, რომ ჯანმრთელია და სინამდვილეში არც გული აწუხებს, არც სიმსივნე აქვს და მისი სიმპტომებიც მხოლოდ წარმოსახვითია. რაც უფრო მეტად ფიქრობს ადამიანი, რომ „malade imaginaire“-ა⁷, მით მეტად ეუფლება არასრულფასოვნების განცდა. „თუ ჩემი სიმპტომები წარმოსახვითია, – ფიქრობს ის, – საიდან გამიჩნდა ეს ილუზია, საიდან მომდის თავში ამდენი სისულელე?“ მართლა გულის ამაჩუყებელია, როცა წინ გონიერი, განათლებული ადამიანი გიზის და ლამის მუდარით გარწმუნებს, რომ ნაწლავის კიბო აქვს, თან იქვე გაუბედავი ხმით გიხსნის, რა თქმა უნდა, ვიცი, რომ ეს სიმსივნე წარმოსახვითიაო.

ვშიშობ, ფსიქიკაზე ჩვენი მატერიალისტური, ჩვეულებრივი წარმოდგენები ნევროზების შემთხვევაში დახმარებას ვერ გაგვინვეს. სულს ფაქიზი სხეული მაინც რომ ჰქონდეს, ვიცყოფით, რომ ეს ჰაეროვანი სხეული ნამდვილი, თუმცა ჰაეროვანი სიმსივნითაა სნეული, ისევე როგორც უხეში სუბსტანციისგან

⁷ ვითომ ავადმყოფი (ფრ.)

შექმნილი სხეული ავადდება ასეთივე ავადმყოფობით. ასეთ შემთხვევაში ხელთ რალაც რეალური მაინც გვექნებოდა. მედიცინას ანტიპათიური დამოკიდებულება აქვს ფსიქიკური წარმოშობის სიმპტომებისადმი: სხეული ან ავადაა, ან არაფერი ანუხებს. და თუ ვერ ამტკიცებ, რომ სხეული მართლა ავადაა, ამის მიზეზი ის არასაკმარისი სამედიცინო საშუალებებია, რომლებიც ექიმს შესაძლებლობას არ აძლევს, აშკარა ორგანული დარღვევის ნამდვილი ბუნება აღმოაჩინოს.

მაინც რა არის ფსიქიკა? მატერიალისტური ცრურწმენის თანახმად, ის ტვინში მიმდინარე ორგანული პროცესების ეპიფენომენი, გვერდითი მოვლენაა. შესაბამისად, ფსიქიკურ დარღვევას ორგანული, ფიზიკური მიზეზი აქვს, რომელსაც თანამედროვე დიაგნოზურ საშუალებათა არასრულყოფილები გამო ვერ ვამტკიცებთ. ფსიქიკასა და ტვინს შორის არსებული უდავო კავშირი ამ პოზიციას გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს, მაგრამ არა ისეთს, რომ ეს პოზიცია უწყვეტ ქვეყნობად აქციოს. არ ვიცით, იწვევს თუ არა ნევროზი ტვინში მიმდინარე ორგანული პროცესების დარღვევას, ხოლო როცა ენდოკრინულ დარღვევასთან გვაქვს საქმე, საერთოდ შეუძლებელია იმის დადგენა, ეს დარღვევა მიზეზია თუ შედეგი.

მეორე მხრივ, ისიც უდავოა, რომ ნევროზებს ფსიქიკური მიზეზები აქვს. ის, რომ ორგანული ცვლილებები ერთ წუთში შეიძლება მხოლოდ აღსარებით განიკურნოს, ფაქტობრივად ძნელი წარმოსადგენია. მაგრამ ჩემთვის ცნობილია შემთხვევა, როცა ისტერიული ციებ-ციხელება, 39 გრადუსამდე სიცხით, რამდენიმე წუთში ავადმყოფობის ფსიქოლოგიური მიზეზის გამხელას განუკურნავს. იმ ფიზიკურ ავადმყოფობათა შემთხვევები როგორღა აიხსნება, რომლებზეც მტკივნეულ სულიერ კონფლიქტებზე უბრალოდ ლაპარაკიც კი არათუ გავლენ

ნას ახდენს, არამედ განმკურნებლადაც მოქმედებს? ფსორიაზის ისეთი შემთხვევაც ვიცი, პრაქტიკულად მთელ სხეულზე რომ იყო მოდებული და რამდენიმე კვირაში ფსიქოლოგიური მკურნალობის შემდეგ ცხრა მეათედით შემცირდა. ერთ პაციენტს მსხვილი ნაწლავის გაფართოების გამო ოპერაცია დასჭირდა. მას ორმოცი სანტიმეტრი ამოაჭრეს, მაგრამ ნაწლავის დარჩენილი ნაწილი მალე ისევ საგრძნობლად გაუფართოვდა. პაციენტი სასონარკვეთილებამ მოიცვა და მეორე ოპერაციაზე უარს აცხადებდა, თუმცა ექიმს ეს აუცილებლად მიაჩნდა. მსხვილმა ნაწლავმა მაშინვე ნორმალურად დაიწყო ფუნქციონირება, როგორც კი ფსიქოლოგთან ერთად ინტიმურ ფაქტებზე ისაუბრეს და პაციენტმა მათი გაცნობიერება შეძლო.

ასეთი არცთუ იშვიათი გამოცდილების შემდეგ ძნელია დაიჯერო, რომ ფსიქიკა არ არსებობს ან წარმოსახვითი ფაქტები არარეალურია. უბრალოდ, ფსიქიკა იქ არ არის, სადაც მას შეზღუდული გონება ეძებს. ის არსებობს, მაგრამ არა ფიზიკური ფორმით. სასაცილო ცრურწმენაა, როცა ჰგონიათ, რომ ეგზისტენციას მხოლოდ ფიზიკური ფორმა აქვს. სინამდვილეში ეგზისტენციის ჩვენთვის ცნობილი ერთადერთი ფორმა ფსიქიკური ფორმაა. ასეთივე წარმატებით შეგვეძლო გვეთქვა პირიქითაც: მატერიის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რაც შეგრძნების ორგანოების მეშვეობით გადაეცემა ჩვენს გონებას.

ცხადია, შეცდომას ვუშვებთ, როცა ეს მარტივი, ფუძემდებლური ჭეშმარიტება გვავიწყდება. ნევროზს, ილუზიის გარდა, სხვა მიზეზი რომც არ ჰქონოდა, მაინც სრულიად რეალური რამ იქნებოდა. ვინმეს რომ მოეჩვენოს, თითქოს მისი დაუძინებელი მტერი ვარ და თუნდაც ილუზიის გამო მომკლას, ხომ მაინც მსხვერპლი ვიქნები. ილუზიები არსებობს და ისინი შეიძლება ისევე რეალური, მავნე ან სახიფათო იყოს, როგორც

ფიზიკური გარემოებები. იმასაც კი ვფიქრობ, რომ ფსიქიკური დარღვევები ეპიდემიებსა და მიწისძვრებზე უფრო საშიშია. არც შავ ჭირს და არც ყვავილს შუა საუკუნეებში იმდენი ადამიანი არ შეუწირავს, რამდენიც განსხვავებულ აზრს 1914 წელს ან რაღაც პოლიტიკურ „იდეალებს“ რუსეთში.

მიუხედავად იმისა, რომ გონებას არსებობის საკუთარი ფორმის გააზრება არ შეუძლია, რადგან არქიმედესეული საყრდენი ნერტილი არ გააჩნია, ფსიქიკა მაინც არსებობს, უფრო მეტიც, ფსიქიკა თავადაა ეგზისტენცია.

რა უნდა ვუპასუხოთ პაციენტს, რომელსაც წარმოსახვითი სიმსივნე ტანჯავს? მე მას ვეტყვი: „ასეა, ჩემო მეგობარო, რაღაც კიბოსმაგვარი მართლა განუხებს. შენ გაუღე კარი მომაკვდინებელ სენს, რომელიც შენს სხეულს ვერ მოკლავს, რადგან ის წარმოსახვითია, მაგრამ სულს კი მოგიკლავს. ადამიანური ურთიერთობები და პირადი ბედნიერება მან უკვე დაგინგრია და მოგინამლა. ის კიდევ უფრო მოგედება და მთელ შენს ფსიქიკურ არსებობას შთანთქავს. ბოლოს კი შენგან საშინელი, გამანადგურებელი სიმსივნის მეტი აღარაფერი დარჩება“.

ჩვენი პაციენტისთვის სრულიად ნათელია, რომ ავადმყოფური წარმოსახვის ავტორი თავად არ არის, თუმცა გონება ჩასჩინებს, ნამქვზებელი და მოთავე შენ ხარო; როცა ნამდვილი სიმსივნე გაქვს, არ გგონია, რომ ამ სენზე, როგორც შემოქმედს, პასუხისმგებლობა შენ გეკისრება, მიუხედავად იმისა, რომ სიმსივნე შენშია, შენს სხეულშია. მაგრამ როცა საქმე ფსიქიკას ეხება, რაღაც პასუხისმგებლობის მსგავსს ყოველთვის ვგრძნობთ, თითქოს საკუთარ ფსიქიკურ მდგომარეობას ჩვენ ვქმნიდეთ. ეს ცრურწმენა შედარებით ახალია. ჯერ კიდევ ახლო წარსულში ცივილიზებულ ადამიანებსაც კი სწამდათ, რომ ფსიქიკურ ძალებს მათ გონებასა და სულზე შეუძლიათ გავლენა